საერთაშორისო რეგიონული ფესტივალი ოზურგეთში

23 ივლისს ოზურგეთმა მესხეთის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს უმასპინძლა.

სტუმარმა თეატრმა ფესტივალის ფარგლებში ჰაროლდ მიულერის "შშვიდი ღამე" წარადგინა გიორგი შალუტაშვილის რეჟისორობით. მსახიობებმა - საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ლია სულუაშვილმა და ანდრია ვაჭარაძემ მაყურებელს მიტოვებული, მოხუცთა თავშესაფარში მცხოვრები დედისა და სტუმრად მოსული შვილის ურთიერთობის სატკივარი დაანახეს შობის ბრწყინვალე ღამის ფონზე. სტუმარი თეატრი მაყურებელს თეატრმცოდნე დავით ბუხრიკიძემ წარუდგინა. დასასრულს ახალციხის თეატრის დასი ფესტივალის სიგელითა და სიმბოლური პრიზით დაჯილდოვდა; ასეთივე სიგელი გადაეცა ოზურგეთის თეატრსაც. სპექტაკლის დაწყებამდე აუდიტორიას სიტყვით მიმართეს ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასო ჩიგოგიძემ, ფოთის საერთაშორისო ფესტივალის დამფუძნებლებმა - ნინელი ჭანკვეტაძემ და თენგიზ ხუხამ.

სპექტაკლს ესწრებოდნენ ქართული თეატრის და კინოს ცნობილი სახეები - ნანა ფაჩუაშვილი, ვანო ინანიძე, ზაზა კოლელაშვილი, რამაზ იოსელიანი... თეატრალური კრიტიკოსები, თეატრმცოდნეები - დოდო ხურცილავა, ლაშა ჩხარტიშვილი, მაკა ვასაძე, ლელა ოჩიაური და სხვები.

გურიანთის კულტურის სახლში ახალციხის თეატრის სპექტაკლს დაესწრო გურიის სახელმწიფო რწმუნებული ზურაბ ნასარაია, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები. წარმოდგენაზე ბრძანდებოდნენ უცხოელი სტუმრები რუმინეთიდან, ბელორუსიიდან, უკრაინიდან და ჰოლანდიიდან.

ვასო ჩიგოგიძე, ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კოტე მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი: „ - *დღეს ჩვენ ვუმასპინძლეთ ოზურგეთში ფოთის საერთაშორისო ფესტივალს და მესხეთის თეატრს. რამდენიმე დღის წინ ჩვენ ვაჩვენეთ სპექტაკლი „კოცნა“ ახალციხეში ამავე ფესტივალის ეგიდით. ძალიან წარმატებული იყო ჩვენი გამოსვლა, სპექტაკლმა და განსაკუთრებით, მსახიობმა თამარ მდინარაძემ დიდი მოწონება დაიმსახურა. ძალიან კარგია თეატრების ასეთი ხშირი კონტაქტი, მოედნების გაცვლა, ვეცნობით ერთმანეთს, ჩნდება მჭიდრო კონტაქტები, სამომავლო თანამშრომლობის გეგმები.“*

ლია სულუაშვილი, მესხეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი: „- *ამ სპექტაკლისათვის ყოველთვის განსაკუთრებულად ვემზადები, რათა მეყოს ძალა და ენერგია ამ მიტოვებული დედის განწყობილების გადმოსაცემად. სპექტაკლი ცოტა მძიმეა, მაგრამ ყველა ასაკის მაყურებელმა უნდა ნახოს, და თუ მათ ჩვენ ამ ტკივილთან ერთად ვავრძნობინებთ ჩვენი თამაშით სიამოვნება, დავაფიქრებთ, ბედნიერი ვიქნები.“*

ნინელი ჭანკვეტაძე, მსახიობი, ფონდის „დღეს“ ხელმძღვანელი: *ფოთის რეგიონული საერთაშორისო ფესტივალი ფოთში თეატრის შენობის რემონტის გამო წელსაც უშენობოდაა დარჩენილი და სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ფესტივალის ფარგლებში რეგიონების თეატრები ერთმანეთთან გვესტუმრებინა და ძალიან კმაყოფილი ვართ შედეგით. არა მარტო თეატრებს შორის ხდება დამეგობრება, არამედ ყველა რეგიონში ხელისუფლებაც მზარს გვიჭერს. მეათე დღეა ფესტივალი მიმდინრეობს, მოვიარეთ თითქმის მთელი საქართველო.* ფესტივალი დაიხურება 29 ივლისს, ფოთში.

ლია კილაძე

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 29 (10322) 25 ივლისი, 2019 წ. ფასი 60 თეთრი.

რატომ ვერ დასრულდა ტროტუარის მოწყობის სამუშაოები თაყაიშვილის ქუჩაზე?

ალიონი. დასრულდა ოზურგეთი-ქობულეთის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მშენებლები ახლა კოსმეტიკურ სამუშაოებს ამთავრებენ.

ძალიან დიდი მოცულობის სამუშაოები ჩატარდა ქ. ოზურგეთში, თაყაიშვილის ქუჩაზე, მდინარე შვარაშკურის ხიდიდან ლიხაური-ბათუმი-ანასეულის გზაგამყოფის ბოლომდე. უნდა ითქვას, რომ მშენებელმა შპს „გზამშენი 18“-მა საუკეთესოდ შეასრულა სამუშაოები, მაგრამ მშენებლობას ვერ ასრულებს იმის გამო, რომ 2016 წელს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ ქ. ოზურგეთის მერიას აუქციონზე გასაყიდად გადასცა გზის მიმდებარე ტერიტორია, რომელშიც საგზაო ნაგებობა – მოსაცდელი და მიმდებარე ტერიტორია შედიოდა .

აღნიშნული ტერიტორია, 1819.00 კვადრატული მეტრი ფართობი, ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ 2016 წლის გაზაფხულზე გაიტანა აუქციონზე.

საჯარო რეესტრმა აღნიშნული ნაკვეთი 2016 წლის 17 მაისს დაურეგისტრირა გიორგი ტაკიძეს. ამჟამად ეს ფართობი იპოთეკითაა დატვირთული საქ-

გვ-2

ბაილეთი – რა კეთდება კარგი და რა ხდება ცუდი გურიის ამ ერთ-ერთ უძველეს სოფელში

თემურ მარშანიშვილი

კარგით დავიწყოთ. რაც ახლა ბაილეთში კეთდება, მას ძველები საშვილიშვილო საქმეს ეძახდნენ. საგზაო სამუშაოებს, რომელსაც აქ შპს „პალადა“ აწარმოებს, სხვა სახელს მართლაც ვერ მოუძებნი. არა მგონია, ასეთი მასშტაბური პროექტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რომელიმე სხვა სოფელში ხორციელდებოდეს რაც, რა თქმა უნდა, მუნიციპალიტეტისა და სოფლის ხელმძღვანელობის სწორი გათვლა და დამსახურებაა.

„ზოგადად, დღევანდელ სოფელში, პრობლემებს რა გამოლევს, მაგრამ ბაილეთელებმა, როგორც მოსახლეობამ, ისე სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა და სოფელში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებმა, პრიორიტეტულად საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა განვიზრახეთ. მუნიციპალიტეტის მერიის ძალიხმევით, ისეთი პროექტი შედგა, რომლის განხორციელების შემდეგ, ეს ერთი პრობლემა თითქმის მთელ სოფელში გა-დაიჭრება, ამ ეტაპზე რჩება ჭანიეთური, სადაც 24 კომლი ცხო-ვრობს, მაგრამ უახლოეს მომავ-ალში იქაც შევა მოასფალტებული გზა“, – გვითხრა ბაილეთის ტერიტორიულ ერთეულში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა **ზურაბ დარჩიამ,** რომელიც, თავის ახალგაზრდა თანაშემწე **გიორგი ქათამიძესთან** ერთად, გვერდიდან არ მოგვცილებია ბაილეთში ჩვენი სარედაქციო ვიზიტისას.

როგორც სამუშაოთა მწარმოებელმა **კარლო გობრონიძემ** ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, ბაილეთის თემში ამ პროექტის განხორციელებას 25 მარტს შეუდგნენ და 20 სექტემბრისთვის დაამთავრებენ:

„ბაილეთის თემში განსახორციელებელი პროექტის ღირებულება სულ 1 893 763,58 ლარია, 25 მარტს შევუდექით სამუშაოებს, რომელიც მოიცავს ახალ-

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცების გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა
„მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

რატომ ვერ დასრულდა ტროტუარის მოწყობის სამუშაოები თაყაიშვილის ქუჩაზე?

ართველოს ბანკის მიერ.

შპს „გზამშენი 18“-მა თაყაიშვილის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებისას შექმნილი პრობლემის გამო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა.

როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსმა **მალხაზ გორგოშიძემ** გვითხრა, აუქციონი წინა ხელისუფლების დროს ჩატარდა. ამჟამად შპს „გზამშენს“ მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადება აქვს შეტანილი. მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. რეგლამენტით განსაზღვრულ დროში მოხდება ამ განცხადების განხილვა და იურისტები დაწერენ შესაბამის დასკვნას ან ბრძანებას.

აღნიშნულ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის შესახებ დაგვიდასტურა მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა **ლაშა თავაძემ.**

– მოხდება განხილვა ვნახოთ რა შეთანხმებას მივაღწევთ კერძო მესაკუთრესთან –გვითხა მან.

–საკუთრება ჩემია. როდესაც საგზაო დეპარტამენტი გზის რეაბილიტაციის პროექტს ადგენდა, თავიდან ისინი 7-8 მეტრით იყვნენ შემოჭრილნი ჩემს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე. ისინი გაგებით მოეკიდნენ ჩემს განმარტებას და პროექტირებაში შესაბამისი ცვლილებები შეიტანეს.

–ბატონო გია, სად უნდა მოაწყოს მშენებელმა ფეხით მოსიარულეთა ტროტუარები და ააგოს მოსაცდელი?

–სახელმწიფოს შეუძლია გადაიწიოს მის მიწაზე. საზღვარი სადაც ახლადაგებული ასფალტია, იქ გადის.

–ამჟამად მუნიციპალიტეტის მერიაში შპს „გზამშენი 18“-ის განცხადების საჯარო ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს. მოხდება თუ არა განხილვისას რაიმე შეთანხმების მიღწევა თქვენს შორის?

– ტერიტორია მე მეკუთვნის და მისი ნაწილის დათმობას არ ვაპირებ –გვითხრა **გია ტაკიძემ.**

ანასეულში წყლის სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ ოზურგეთში, ანასეულის ტერიტორიაზე წყლის სისტემების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა ოთხი ჭაბურღილი, ორი 330 მ3 წყლის რეზერვუარი, სატუმბი სადგური, სადაწნევო და გამანაწილებელი ქსელი, მოხდება ინდივიდუალური გამრიცხველიანება.

აღნიშნული სამუშაოების ღირებულება 6 800 000 ათას ლარს შეადგენს.სამუშაოებს შპს „საბა“ აწარმოებს. დღეს მიმდინარე სარეაბილიტაციო პროცესს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე ადგილზე გაეცნო.

წლის საუკეთესო მოსწავლე

–სამხატვრო სკოლის წლის საუკეთესო მოსწავლე – ასე გაგვაცნო ოზურგეთის სამხატვრო სკოლის დირექტორმა კახა ვასაძემ ამ სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე **სალომე ჩიტაიშვილი.**

სალომე შემოქმედის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეა. მხატვრობის ანბანს იგი ცნობილმა მხატვარმა თამაზ დარჩიამ აზიარა. მეორე წელია ავთო თავართქილაძის ჯგუფში ოსტატდება

–წელს სალომე „ზამთრის ვერნისაჟის“ გამარჯვებული იყო. გურიის რეგიონიდან 10 საუკეთესო მოსწავლე შეირჩა და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში მათი გამოფენა გაიმართა. სალომეს ნამუშევარმა სპეციალისტების მოწონება დაიმსახურა და მას შესაბამისი სერთიფიკატი გადეცა –გვიყვება **კახა ვასაძე.**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ წელს ჩატარდა საინტერესო კონკურსი „ახალგაზრდა ხელოვანი“, რომლის სულისჩამდგმელი ნინო ქოქიაშვილია.

ამ პროექტის მიხედვით ოზურგეთის რესურსცენტრმა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტის და ახალგაზრდობის განყოფილების მიერ იყო ორგანიებული.

თავდაპირველად გურიის მუნიციპალიტეტებში შერჩეული 200-მდე ბავშვი ქ. ლანჩხუთში წარსდგნენ სპეციალისტების წინაშე. სალომე კონკურსში გრაფიკული პეიზაჟით და ჩანახატით მონაწილეობდა. ამ კონკურსში მას არჩევანის გაკეთება მოუწია პროზასა და მხატვრობას შორის. სალომემ მხატვრობა აირჩია და გაიმარჯვა კიდეც.

–მე და ჩემი მეგობარი, ოზურგეთელი ლიკა ცეცხლაძე 14 ივლისს რაჭაში წაგვიყვანეს, სადაც 5 დღე დავყავით. აქაური ბანაკიც პროექტის „ახალგაზრდა ხელოვანი“ გაგრძელება იყო. აქ კონსულტანტი თავად ნინო ქოქიაშვილი იყო. აქაც კონკურსი გაიმართა. 2 დღე გვეძლეოდა საკონკურსო ნამუშევრის შესაქმნელად. ჟიურიმ ფარული კენჭისყრით ჩემი ნამუშევარი გამარჯვებულად ცნო –გვითხა გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში სტუმრად მყოფმა სალომე ჩიტაიშვილმა.

წარმატებები ვუსურვოთ ახალგაზრდა ხელოვანს.

გურული მოჭადრაკეები ძალებს საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირებში ცდიან

მიმდინარე წლის საჭადრაკო კალენდარი გურულ მოჭადრაკეებისათვის მრავალმხრივ ხელსაყრელი დარჩა. ზაფხულის არდადეგების პერიოდში მარტო ბათუმსა და ფოთში 6 საერთაშორისო ტურნირი ტარდება, სადაც თითოეულში სულ ცოტა 15 ქვეყნის 300-ზე მეტი მოჭადრაკე ასპარეზობს. .

2 - 10 ივლისს საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „ბათუმის მერიის თასი-2019“ გაიმართა, რომელშიც გურიიდან 25-მდე მოჭადრაკე, სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში ცდიდა ძალებს. ქართველებთან ერთად, საკმაოდ ძლიერი და ტიტულოვანი ახალგაზრდებით იყო წარმოდგენილი უკრაინა, ყაზახეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი,რუსეთი და სხვა. საპრიზო ფონდი 45 ათას ლარს შეადგენდა ფესტივალი ყველა კატეგორიაში შვეიცარული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა.

12 წლამდე ასაკის 32 გოგონათა შორის კარგად იასპარეზა ლანჩხუთელმა **მარიამ ჩხაიძემ** და ოზურგეთელმა **ანა მეგრელაძემ.** მარიამი 6 ქულით და ნაკლები კოეფიციენტით მეოთხე საპრიზო ადგილზე აღმოჩნდა,რაც თავის მხრივ სერიოზული წარმატებაა, ანა მეგრელაძემ ბოლო პარტიაში ყველაზე მაღალრეიტინგიან ლიზი ქონიაძესთან ყაიმი კი ითამაშა,მაგრამ საპრიზო ხუთეულში მოსახვედრად საკმარისი ვერ აღმოჩნდა და 5,5 ქულით მეექვსე საპატიო ადგილს დასჯერდა. წარმატებად შეიძლება უნდა ჩაითვალოს ასევე ლანჩხუთელი **მარიამ სარიშვილის** 5 ქულა და ასაკით ყველაზე პატარა ოზურგეთელი **ლიზი ვასაძის** 4,5 ქულა.

12 წლამდე ასაკის ჭაბუკებს შორის ლანჩხუთელმა **მიხეილ აფხაზავამ** იყოჩაღა. მან ძლიერ კონკურენტებთან შეძლო 6,0 ქულის დაგროვება და საპრიზო ხუთეულში შესვლა. კარგ შედეგად უნდა ჩაითვალოს **თენგიზ ჯანაშიას** 5 და **ლუკა მახარაძის** 4,5 ქულა.

ისევ წარმატებას მიაღწია 10 წლის **თენგიზ თოიძემ,** რომელიც სხვადასხვა ქვეყნის 66 მონაწილეს შორისს ასპარეზობდა. იგი თავიდანვე აღმოჩნდა ლიდერთა შორის, მაგრამ ტურნირის ეკვადორზე დასანანად წაიფორხილა. დასკვნით ნაწილში ზედიზედ შეძლო ძლიერი მეტოქე-კონკურენტების დამარცხება და მასზე მნიშვნელოვნად მაღალი რეიტინგიანებს შორის 6,5 ქულით საპრიზო ადგილი და ფულადი ჯილდო დაიმსახურა.

ბათუმის ტურნირის დამთავრებისთანავე 13-20 ივლისს ფოთში, საჭადრაკო კლუბ „ნანას“ ორგანიზებით, ჩატარდა მე-14 საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდით 30 ათასი ლარი). ცალკე ჩატარდა შეჯიბრება 8 და 10 წლამდე ასაკის გოგონებსა და ჭაბუკებს შორის. ჩვენი მოჭადრაკეებიდან ყველაზე მაღალი შედეგი აჩვენა გურიის ორგზის ჩემპიონმა **გიორგი გოგოლაურმა,** რომელმაც 7,5ქულით(9-დან) მეორე ადგილი დაიკავა და 400 ლარი პრიზიც მიიღო. 75 მონაწილეს შორის წარმატებულად უნდა შეფასდეს **ელგუჯა ურუშაძის** და **დავით ცეცხლაძის** 6,5 ქულიანი მე-8 მე-9 ადგილი. კარგ შედეგად მიიჩნევა, ძლიერ შემადგენლობაში ლანჩხუთელი **მარიამ ჩხაიძის** 5,5 და **თენგიზ სტურუას** 5.0 ქულაც. წარმატებული იყო **ტარიელ ხუხუნაიშვილის** 6 ქულა,(მე-7 ადგილი), მაგრამ სენიორ მოჭადრაკეთა ჩათვლაში (60 წელს ზევით) ეს შედეგი საპრიზო ადგილის მომტანი გახდა. გოგონათა შორის ოზურგეთელი დები **თაკო და თეკლა ასათიანები** მონაწილეობდნენ. თაკოს, ვინაიდან მის ასაკში (12-წლამდე) ჩემპიონატი ცალკე არ ტარდებოდა , ძლიერთა შორის მოუწია თამაში და შედეგიც მოკრძალებული აჩვენა. სამაგიეროდ, თეკლამ რომელიც პირველად ასპარეზობდა ამ დონის ტურნირში, 50 %-ინი ბარიერი გადალახა. ისევ კარგად ითამაშა **თენგიზ თოიძემ,** რეიტინგიც საგრძნობლად მოიმატა.

დაღვინებული მოჭადრაკის თვისებებს ავლენს 7 წლის **ნიკა ბარამიძე.** 8 წლამდეთა ტურნირში მან 6 ქულა დააგროვა და მხოლოდ ერთი ქულა არ ეყო საპრიზო ადგილის მოსაპოვებლად.

დიდოსტატთა ჯგუფში (ტურნირი) ასპარეზობდა საჭადრაკო კლუბ გურიას წევრი ,საერთაშორისო ოსტატი **ნიკა ჩხაიძე,** რომელმაც ძლიერთა შორის 5,0 ქულა დააგროვა.

გურიის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზურაბ ანდღულაძემ** ჩვენთან საუბარში აღნიშნა,რომ 22-28 ივლისს კიდევ ერთი საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „ბათუმი-2019“ ტარდება ბათუმში, რომელშიც გურია ოზურგეთელი მოჭადრაკეებითაა წარმოდგენილი.

მან აღნიშნა ისიც,რომ 3 სექტემბრიდან განახლდება საქართველოს საკლუბო ჩემპიონატი, ოზურგეთის „გურია“ მე-7-8 ტურში ფოთის საჭადრაკო კლუბს „ნანას“ ათ დაფაზე უმასპინძლებს.

ბაილეთი – რა კეთდება კარგი და რა ხდება ცუდი გურიის ამ ერთ-ერთ უძველეს სოფელში

სოფელში 1777, ხოლო თვით ბა-ილეთში 1926 გრძივი მეტრი გზის მოასფალტებას, ორივეგან გზის სიგანე 5 მეტრი იქნება, ხოლო ასფალტის სისქე – 6 სმ. ბაილეთში ზაქარიაძეების უბანში კიდევ დასაგებია 1960 მეტრი გზა. კეთდება ხიდები, მილხიდები, საწრეტი არხები. სამუშაოები 20 სექტემბერს უნდა დამთავრდეს. ამ ეტაპზე არანაირი შემაფერხებელი ფაქტორი არ არსებობს, რომ ვად-ებში ვერ ჩავეტიოთ, თუ როგორ კეთდება, შეგიძლიათ თვითონ ნახოთ და მოსახლეობასაც ჰკი-თხოთ“.

ხიდის გადაღებისას, ერთმა ადგილობრივმა ახალგაზრდამ, რომელიც ამ სამუშაოებშია ჩართული და მედიაზე ცოტა მწყრალად უნდა იყოს, წაგვირეპლიკა: ტელევიზიები და გაზეთები დღეს ძირითადად სკანდალებზე მუშაობენ. კარგია, თუ ვინმემ ამისთვისაც მოიცალა და იმედია, ყველაფერი ობიექტურად გაშუქდებაო.

ზურაბ დარჩიას თქმით, „პალადამ“ ბაილეთის სკოლის წინამდებარე მოედნისა და ჭიშკრიდან სკოლის შენობამდე მისასვლელი გზის მოაფალტებით, ერთგვარი საჩუქარი გაუკეთა სოფელს. ეს სამუშაოები პროექტით არ იყო გათვალისწინებული.

მოსახლეობა ერთსულოვანია ამ საკითხში, ყველა ემადლიერება მეგზევეებს. ამბობენ, რომ სექტემბრის ბოლოს პურმარილით აღნიშნავენ ბაილეთში გზების მოასფალტებას.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ბაილეთში ჯერჯერობით არც ერთ ოჯახში შეყვანილი არ არის ბუნებრივი აირი. ეს მაშინ, როდესაც მთავარი მაგისტრალი მოსახლეობიდან სულ რაღაც 200-300 მეტრში გადის.

ზურაბ დარჩიას თქმით, უკვე არსებობს პროექტი და მომავალი წლიდან გაზიფიცირებას პირდებიან:

„ბაილეთელებს აუცილებლად გვექნება ბუნებრივი აირი, პროექტიც არსებობს უკვე. ამ პროექტში წერია მხოლოდ ბაილეთი და, სამწუხაროდ არაფერი ნათქვამი თემში შემავალ ახალსოფელზე. როგორც გვითხრეს, ეს ტექნიკური შეცდომაა და გამოსწორებადია, გვპირდებიან, ბაილეთში რომ დამთავრდება, შემდეგ ახალსოფლის ჯერი დადგება. ისე, „სოკარმშენის“ წარმომადგენლებიდან ვიცი, თუ მთავარი მაგისტრალი 300 მეტრში გადის, მაშინ არანაირი პროექტი არ არის საჭირო, რაც რასაკვირველია, აადვილებს პრობლემის მოგვარებას.“

კეთილი და პატიოსანი, თუ ეს ასეა, მაშინ ვინ მოხსნის კითხვით ნიშანს წერილში ამ საკითხზე ავტორის მიერ ჩამოყალიბებულ ბოლო წინადადებას: რატომ დარჩა ამდენი ხნის განმავლობაში ბაილეთი ბუნებრივი აირის გარეშე?

324-კომლიან თემში, ასე თუ ისე, მოგვარებულია სასმელი წყლის პრობლემა. აქვთ წყაროები, ჭები, არტეზიული ჭებიც არის ზოგან, ზურაბ დარჩიას თქმით, მოსახლეობის 70-80 პროცენტი სრულყოფილად უზრუნველყოფილია სასმელი წყლით.

სოფელში კარგა ხანია დამთავრებულია ინდივიდუალური ელექტროგამრიცხველიანება და მოსახლეობას სტაბილურად მიეწოდება ელექტროენერგია. ზოგიერთ უბანში შესაცვლელია ელექტროსადენების დამჭერი ბოძები.

რაც შეეხება განათლებისა და აღზრდის კერებს, როგორც სკოლა, ისე საბავშვო ბაღი ყველა მაჩვენებლით ერთ-ერთი საუკეთესოებია მთელ მუნიციპალიტეტში.

ბაილეთელები მორწმუნე ხალხია და სოფელში მოქმედ ეკლესიებს, საბედნიეროდ, მრევლი არ აკლია.

ყოველივე ზემოჩამოთვლილის ფონზე, ცოტა უცნაურია, რომ სოფელს არ გააჩნია ადმინისტრაციული შენობა და სოფლის როგორც წარმომადგენლობითი, ისე საალმსრულებლო რგოლის წარმომადგენლები შეხიზნული არიან საბავშვო ბაღის შენობაში.

სოციალური ყოფა ბაილეთშიც მძიმეა, თუმცა, ჩანს გაუმჯობესების ტენდენციები, ჰყავთ საქონელი, ფრინველი, აქვთ ბოსტნები, მეტ-ნაკლებად საძოვრებიც, ეწევიან მცირე მეწარმეობას.

ერთი მხრივ, ფინანსურ სიდუხჭირეს და მეორე მხრივ, გვალვიანობას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ გვიან დაითესა სიმინდი. ბაილეთში ყანები ახლა ამოდის, ახალსოფელში კი მარგვლა ახალდაწყებულია. აქაურ გამოცდილ მეყანეებს თუ დავუჯერებთ, სიმინდი მოასწრებს დამწიფებას.

აბა, ცუდი რაღა ხდებაო? – იკითხავთ, ალბათ. ბოლო საკითხმა – ყანებმა და საყანეებმა მიგვიყვანა იმ დილემამდე, რის წინაშეც შესაძლებელია ბაილეთელები მალე დადგნენ. საქმე ისაა, რომ ახალსოფლის ტერიტორიაზე, მდინარე სუფსის აუზში კარიერის ამოქმედების შემდეგ, როგორც ამბობენ, 2000 წლიდან დღემდე, აქაურებმა სავარგულების თითქმის 50 პროცენტი დაკარგეს.

ახალსოფლელი **როინი დარჩიას** თქმით, ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ ქვიშა-ხრეშის მომპოვებლებმა მდინარეს კალაპოტი შეუცვალეს.

„მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ სავარგულები სუფსამ მას შემდეგ წაგვართვა, რაც ქვიშა-ხრეშის მომპოვებელმა კომპანიამ, მოსახლეობასთან შეუთანხმებლად, მდინარეს კალაპოტი შეუცვალა. წყალი აქეთ აწვება და მიაქვს ეს ჩვენი მიწები. 600 კუბური მეტრი გაბიონი იყო ჩაწყობილი, კარგად გაკეთდა, 43 დღე პირადად ვიმუშავე იქ და ვიცი, გააუქმეს მაგათმა, აღარ ჩანს საერთოდ. ჩემი ანგარიშით, 18-20 ჰექტარი სავარგული უკვე წაღებულია, აღარ არსებობს. ეს კერძო საკუთრებაში არსებული მიწები იყო. იმედა დარჩიას, გელა დარჩიას, თემურ ჩხარტიშვილის (ყოფილი პროკურორის), ზური ებრალიძის, მეორე თემურ ჩხარტიშვილის, ომარ ჩხარტიშვილის მიწები შუაშია გაჭრილი და სანახევროდ წაღებულია. ვინ აგვინაზღაურებს ზარალს, ან ვინ მოგვცემს სანაცვლო მიწას? მეზობელი სოფელი ჯუმათი. ესეც იმის შედეგია, რომ აქ ადრე ქვიშა-ხრეშის მომპოვებელი კარიერი მოქმედებდა.

ბელი სოფელი სილაურიც ამ დღეში იყო. თუმცა, სილაურელებმა დაატოვებინეს ტერიტორია“.

ეს ფაქტი მეორე დღეს სილაურის მაჟორიტარმა დეპუტატმა **გოჩა კილაძემაც** დაგვიდასტურა.

როგორც ადგილობრივები ამბობენ, აქ კარიერები წინა ხელისუფლების შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის ინტერესებში შედიოდა.

„ვერ გეტყვით, ვისი ბიზნესი იყო და არის, მაგრამ იმის თვითმხილველი ვარ, რომ კარიერის გახსნამდე იმ ადგილას მერაბიშვილის შვეულმფრენი დაფრინდა და შემდეგაც შს მინისტრმა რამდენჯერმე დაათვალიერა ობიექტი“, – გვითხრა 59 წლის **ელგუჯა მიხელიძემ,** რომელიც 45 წელია ტრაქტორზე მუშაობს და აქაური ტერიტორიების ავან-ჩავანი კარგად მოიცავს მათი საქმიანობის არეალი, რა ვადით აქვთ აღებული ლიცენზიები, მაგრამ, არ ყოფილა ამის გაგება მთლად ადვილი.

გასული წლის შესაბამისი რუკის მიხედვით, ამ ტერიტორიაზე ორ ლიცენზიას ფლობდა შპს „ჯორჯიან მინერალსი“. პირველი ლიცენზიის ვადაა 2017 წლის 27 აპრილიდან 2022 წლის 28 აპრილამდე, 6,66 ჰექტარზე, მოცულობა – 199 800 კუბური მეტრი; მეორე, უფრო მცირე ლიცენზიის ვადაა 2017 წლის 14 სექტემბრიდან 2021 წლის 13 დეკემბრამდე, 0, 5 ჰექტარზე, მოცულობა – 15 000 კუბური მეტრი. სავარაუდოდ, დღეს აქ შპს „ნატა 2000“ უნდა აწარმოებდეს ქვიშა-ხრეშის მოპოვების სამუშაოებს. შეიძლება ვერ ვიყოთ კომპეტენტურები, მაგრამ რაც რუკაზე ჩანს, ის ნამდვილად არ უწყობს ხელს გასწორხაზოვნებას.

ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, თბილისში, გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელს **ლიკა ქოქიაშვილს** დავუკავშირდით, რომელმაც გვითხრა, რომ ეკონომიკის სამინისტროს პიარის ეროვნული სააგენტოსთვის უნდა მიგვემართა, ტელეფონის ნომერიც დაგვიდგინა – 2439557. გასულ სამშაბათს, 23 ივლისს, გაზეთის დასაბეჭდად მომზადების დღეს, 14-დან 17 საათამდე ჩვენ მიერ განხორციელებულმა ზარებმა რატომღაც ადრესატამდე ვერ მიაღწია. არაუშავს, შევეცდებით უახლოეს მომავალში დავუკავშირდეთ და დაზუსტებული ინფორმაცია გამოვაქვეყნოთ.

რასაკვირველია, მოპოვებული არასრული მასალებით არაფერს ვამტკიცებთ, ხელს არავის ვადებთ, უბრალოდ, ხალხის ნაამბობსა და ფაქტებს ვაფიქსირებთ. ჩვენი აზრით, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ ამ საკითხით და დარღვევის შემთხვევაში, ოპერატიულად უნდა გატარდეს სათანადო ღონისძიებები.

მოკლედ, კარიერების გამოისობით შექმნილ სიტუაციას ბაილეთში მოსალოდნელი მიგრაციის სუნი ასდის. მოსახლეობის მხრიდან სოფლის დაცარიელება და მიტოვება, რა თქმა უნდა, დაშაულის ტოლფასი იქნება, მაგრამ თუ სავარგულები და საძოვრები არ ექნა, შესაბამისად მოსავალი ვერ მოიწია და პირუტყვი ვერ იყოლია, ოჯახი ვერ დააპურა, შვილები ვერ აღზარდა და დააკვალიანა, მტერ-მოყვარეს პასუხი ვერ გასცა, მაშინ რა უნდა კარიერებისგან ფსკერამობრუნებულ, გაცამტვერებულ სუფსის ჭალაში ბაილეთელ კაცს, ან ვის რაღად სჭირდება ეს მოასფალტებული გზები და სხვა ინფრასტრუქტურა, რომლისთვისაც ადგილობრივი ხელისუფლება ასე ისარჯება ???

SOS!!!

„სამღვთოს“ საგაზაფხულო შეკრება სურამში და თანატოლებთან გამართული ამხანაგური მატჩების შედეგები

10-დან 20 ივლისის ჩათვლით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან (დირექტორი გელა შაფაქიძე) არსებულმა ნატანების „სამღვთოს“ ბავშვთა საფეხბურთო გუნდმა (მწვრთნელი – გია ტუღუში) საზაფხულო შეკრება გაიარა კურორტ სურამში. ბავშვები ცხოვრობდნენ ძალიან კარგ პირობებში, ჰქონდათ დღეში სამჯერადი კვება. გაიარეს ტექნიკური, ტაქტიკური, ფიზიკური კროსი და თეორიული ვარჯიშები. ჰქონდათ ამხანაგური მატჩები ძალიან ძლიერ მეტოქეებთან, კერძოდ: მათ მინიფეხბურთში ორჯერ დაამარცხეს კასპელი თანატოლები, ანგარიშით 8:6 და 3:2. პირველ მატჩში 4-4 გოლი გაიტანეს ძმებმა გიგა და გუჯა ნათიძეებმა, ხოლო მეორე მატჩში ჰეთთრიკი ალეკო ცერცვაძემ შეასრულა. ხაშურის „ივერიასთან“ (მწვრთნელი – მევლუდ ლომიძე) 1 X 8 სისტემით თამაშში პირველ მატჩში ნატანებელები დამარცხდნენ ანგარიშით 4:5. ნატანებელთაგან გოლები გაიტანეს ისევ ძმებმა გიგა და გუჯა ნათიძეებმა. მეორე დღეს ჩვენმა ბიჭებმა მეტოქესთან სრულყოფილი რევანში აიღეს და ის 5:2-ზე დაამარცხეს. გოლები გაიტანეს: ალეკო ცერცვაძემ – 3, გოგა ნათიძემ და გუნდში ასაკით ყველაზე პატარა ფეხბურთელმა გიორგი ბოლქვაძემ.

ძალზე ნაყოფიერი გამოდგა ბორჯომში, კერძოდ კი, ახალდაბაში შეკრებაზე ჩამოსულ რუსთაველ თანატოლებთან გამართული შეხვედრები (მწვრთნელი – ოზურგეთის „მერცხალის“ ყოფილი ფეხბურთელი ტატო წიკლაური). რუსთაველებთან ჩვენმა ბიჭებმა 4 თამაში გამარტეს სისტემით 1 X 8-ზე. მათი პირველი შეხვედრა უგოლო ფრედ, 0:0 დასრულდა, გამარჯვებული ვერც მეორე მატჩში გამოვლინდა, მაგრამ ის უხვგოლიანი გამოდგა – 3:3. ჰეთ თრიკი გიგა ნათიძემ შეასრულა. მესამე მატჩში, მთელი შეხვედრის მანძილზე უპირატესობას „სამღვთოს“ ფეხბურთელები ფლობდნენ, მაგრამ მაინც 1:2-ზე დამარცხდნენ. ნატანებელთაგან გოლი გუჯა ნათიძემ გაიტანა. ბოლო მეოთხე მატჩში კი რევანში აიღეს და 1:0 გაიმარჯვეს, გიგა ნათიძემ თერთმეტმეტრიანი დარტყმა ზუსტად შეასრულა.

საერთო ჯამში ნატანებელმა ფეხბურთელებმა შეკრებაზე 8 მატჩი გამართეს, ოთხ შეხვედრაში გაიმარჯვეს, ორი ფრედ დაამთავრეს და 2 შეხვედრაში დამარცხდნენ. ბურთების შეფარდება 25 -20-ზე.

გუნდის მწვრთნელი გია ტუღუში შეკრებით ძალიან კმაყოფილი დარჩა და მატჩების შედეგითაც ის გუნდის ყველა რგოლის ფეხბურთელების თამაშით კმაყოფილია, მაგრამ აღნიშნა ბევრი ხარვეზიც, რომელსაც ბავშვები ვარჯიშებზე ეტაპობრივად გამოასწორებენ. მისი აზრით, ბავშვებმა მათი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინეს.

8 მატჩში 11 გოლი გუნდის კაპიტანმა გიგა ნათიძემ გაიტანა, შვიდი – გუჯა ნათიძემ. ექვსი გოლის ავტორი ორი ჰეთთრიკით ალეკო ცერცვაძე გახდა, ერთი გოლი კი გიორგი ბოლქვაძის ანგარიშზეა. აქვე გაგაცნობთ შეკრებაზე მყოფ ბავშვებს: შოთა თარხნიშვილი, თორნიკე ბაქანიძე, უჩა ხომერიკი, ალეკო ცერცვაძე, გიორგი ბოლქვაძე, ირაკლი კავაზაშვილი, ლუკა პაატას ძე მიმინოშვილი, ლუკა ხურციძე, გიორგი უჯმაჯურიძე, გიგა და გუჯა ნათიძეები.

მწვრთნელი დიდ მადლობას უხდის შეკრებაზე მყოფი ბავშვების მშობლებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს და შეძლეს მათი შვილების შეკრებაზე გამოსაშვებად.. ასევე დიდ მადლობას უხდის ბატონ აკაკი წითლიძეს, რომელმაც ორი ბავშვი დააფინანსა. ბოლოს კი, ძალზე მადლიერია ფეხბურთის უფროსი სპეციალისტის გოჩა კრასოტკინისა, რომელიც ოზურგეთიდან მათ ყურადღებას არ აკლებდა. ჯამში გუნდმა ძალზე შედეგიანი და ნაყოფიერი შეკრება გაიარა. რაც მთავარია, თვითონ ბავშვებ და მათი მშობლები ძალზე კმაყოფილები დარჩნენ. თავიანთი მხრივ, ისინი დიდ მადლობას უხდიან მწვრთნელ გია ტუღუშს.

განცხადება

სოფლად, ოჯახში გვესაჭიროება დამხმარე ღამის თევით. მსურველებმა გამოგვეხმაურეთ: 551 48 29 29; 599 50 94 12.

მადლობა ყურადღებისთვის

სააქციო საზოგადოება „იმედის“ სამეურნეო ეზო (რომელსაც სხვა ორგანიზაციებიც სარგებლობს), და მისასვლელი გზა ავარიულ მდგომარეობაში იყო. წვიმის დროს დგებოდა წყლის ტბორები და მანქანებს უჭირდათ გავლა. უნივერმაღის კოლექტივმა დახმარება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს კონსტანტინე შარაშენიძეს. მან ჩვენი თხოვნა გაითვალისწინა და შპს „გზამშენი 18“-მა (უფროსი თემურ ჯახვა), მოასფალტა მისასვლელი და სამეურნეო ეზო.

მადლობა ოზურგეთის მერს ჩვენი პრობლემის გათავისებისა და უმოკლეს პერიოდში გადაწყვეტისათვის.

სს „იმედის“ კოლექტივი

ჰეპატიტების მსოფლიო დღე

ყოველწლიურად, 28 ივლისს, ჰეპატიტების მსოფლიო დღის აღსანიშნავად მთელი მსოფლიო ერთიანდება საერთო მიზნით - ამაღლდეს ცნობიერება ვირუსული ჰეპატიტების რეალური ტვირთის შესახებ. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია მოუწოდებს ქვეყნებს, განახორციელონ ეფექტური ქმედებები, რაც ხელს შეუწყობს დაა-ვადების შესახებ ცოდნის გაუმჯობესებასა და ინფექციის ახალი შემთხ-ვევების პრევენციას, ასევე გაზრდის ტესტირებისა და მკურნალობის სერ-ვისებზე წვდომას. დღესდღეობით, მსოფლიოში, 20 ინფიცირებულიდან მხოლოდ ერთმა იცის, რომ ვირუსული ჰეპატიტი აქვს და 100 დაავადებულიდან მხოლოდ ერთი მკურნალობს.

მსოფლიოში დაახლოებით 325 მილიონ ადამიანს აქვს **B** და **C** ჰეპატიტების ქრონიკული ფორმა. 2015 წელს ამ დაავადებით დაახლოებით 1.34 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა. უმნიშვნელოვანესია ის ფაქტი, რომ ქრონიკული **C** ჰეპატიტის შემთხვევათა 95%-ზე მეტში შესაძლ-ებელია სრულად განკურნება 3 თვიანი მკურნალობის კურსის შედეგად.

2016 წლის მაისში, ჯანმრთელობის მსოფლიო ასამბლეაზე, 194 ქვეყნის მთავრობამ მიიღო ვირუსულ ჰეპატიტებზე ჯანმრთელობის სექტორის პირველი გლობალური სტრატეგია, რომლის ამოცანაა 2030 წლისთვის ვირუსული ჰეპატიტების, როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის, ელიმინაცია. სტრატეგიის ერთერთი მიზანია 2020 წლისთვის B და C ჰეპატიტების მქონე 8 მილიონი ადამიანის მკურნალობა. ხანგრძლივვადიანი სამიზნე კი არის 2030 წლისთვის ვირუსული ჰეპატიტების ახალი ინფექციების 90%-ით, ხოლო ვირუსული ჰეპატიტებით გამოწვეული სიკვდილობის 65%-ით შემცირება.

2017 წელს ჰეპატიტების მსოფლიო ალიანსმა დაარსა პროგრამა NOhep Visionaries, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს ცნობიერების ამაღლებისა და მსოფლიოში ელიმინაციის მისაღწევად საჭირო მიდგომების შემუშავების მიზნით. C ჰეპატიტის ელიმინაციისთვის გაწეული თავდაუზოგავი შრომის გამო ჰეპატიტების მსოფლიო ალიანსმა პროგრამის მონაწილედ წარადგინას საქართველო, როგორც სანიმუშო და მისაბაძი მაგალითი სხვა ქვეყნებისთვის.

2015 წლის აპრილში, აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრების, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და სხვა პარტნიორების მხარდაჭერით, საქართველომ წამოიწყო უპრეცედენტო პროგრამა და მიზნად დაისახა ქვეყანაში ჩ ჰეპატიტის ელიმინაცია. 2016 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა ქვეყანაში C ჰეპატიტის ელიმინაციის სტრატეგია (2016-2020). აღნიშნული სტრატეგია მოიცავს ძირითად აქტივობებს C ჰეპატიტის ელიმინაციის მისაღწევად საჭირო სხვადასხვა მიმართულებებით, როგორიცაა ცნობიერების ამაღლება, ეპიდზედამხედველობა, პრევენცია, სკრინინგი, დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

ელიმინაციის პროგრამის მიზანია ქვეყანაში C ჰეპატიტის ვირუსით გამოწვეული ავადობისა და სიკვდილობის შემცირება, ასევე ახალი შემთხვევების აღმოცენების პრევენცია. პროგრამის დაწყებიდან დღემდე 50 ათასზე მეტმა პაციენტმა მიმართა სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებას და დაახლოებით 45 ათასმა იმკურნალა ან ამჟამად მკურნალობს უახლესი ანტივირუსული მედიკამენტების შემცველი რეჟიმებით. 42 ათასმა პაციენტმა უკვე დასრულა მკურნალობა და მათში, რომელთაც ჩაუტარდათ მყარი ვირუსული პასუხის შესაფასებელი ანალიზი მკურნალობის დასრულებიდან 3 თვის შემდეგ, სრული განკურნება გამოვლინდა პაციენტთა მოლიანი რაოდენობის 98%-ში,

მნიშვნელოვანი ფართომასშტაბიანი ღონისძიებები ტარდება სკრინინგის მიმართულებით. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და მის რეგიონულ განყოფილებებში ასევე, გურიის მხარის დასახლებულ ადგილებში უწყვეტად მიმდინარეობს უფასო სკრინინგი ნებისმიერი მსურველისთვის. გაფართოვდა სკრინინგის ღონისძიებები მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებში - ორსულები, სტუდენტები, სამედიცინო პერსონალი; აქტიური სკრინინგი დაიწყო ამბულატორიულ და სტაციონარულ დაწესებულებებში მყოფ პაციენტებში.

Cჰეპატიტის ვირუსების გადაცემის გზებიდან აღსანიშნავია:

სამედიცინო (ჰემოტრანსფუზია ანუ სისხლის გადასხმა და სხვა სამედიცინო მანიპულაციები) მანიპულაციები;

არასამედიცინო მანიპულაციები (ინექციური ნარკოტიკების მოხმარება, მანიკური, პედიკური, ტატუირება, პირსინგი, აკუპუნქტურა);

აგრეთვე, სქესობრივი და ვერტიკალური (დედიდან შვილზე) გზები.

ნებისმიერი სამედიცინო თუ არა სამედიცინო მანიპულაცია, რომელიც დაკავშირებულია კანისა და ლორწოვანის მთლიანობის დარღვევასთან, წარმოადგენს C ჰეპატიტებით დაინფიცირების რისკს. სამედიცინო დაწესებულებებში რისკის ქვეშ იმყოფება როგორც მედ. პერსონალი (ქირურგები, გინეკოლოგები, ლაბორანტებდა. შ.), ასევე მთი პაციენტები.

სქესობრივი გზით ჰეპატიტი უფრო ხშირად გადაეცემა (დაახლოებით 30%-ში), ვიდრე C ჰეპატიტი (5-7%). დაინფიცირების რისკი მატულობს დაუცველი და შემთხვევითი კავშირების დროს. მაღალი რისკის ჯგუფები აერთიანებს კომერციული სექსის მუშაკებსა და ჰომოსექსუალებს.

დედიდან შვილზე გადაცემის სიხშირე B ჰეპატიტის შემთხვევაში უფრო მაღალია (20-80%), ვიდრე C ჰეპატიტის დროს (2-8%). ორსულს, რომელსაც გამოუვლინდება B ან C ჰეპატიტი, რეკომენდებულია ჩაუტარდეს საკეისრო კვეთა. B ჰეპატიტის შემთხვევაში, კი დაბადებიდან პირველი 12 საათის განმავლობაში, ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციას იმუნოგლობულინთან ერთად, მინიმუმამდე დაჰყავს ახალშობილის დაავადებისრისკი.

C ჰეპატიტების ვირუსებით ძირითადად ახალგაზრდა ასაკის მამაკაცები ინფიცირდებიან. B ჰეპატიტი უმეტეს შემთხვევაში გამოჯანმრთელებით მთავრდება, თუმცა 5-10%-ში ვითარდება ქრონიკული ფორმა. C ჰეპატიტი ძირითადად უსიმპტომოდ მიმდინარეობს. არცერთი ვირუსული ჰეპატიტის დროს არ აღინიშნება ქრონიზაციის ისეთი მაღალი მაჩვენებელი, როგორც C ჰეპატიტის შემთხვევაში. მწვავე ფორმის გადატანის შემდეგ, პაციენტთა 60-80%-ს უვითარდება ქრონიკულფორმა, რომლის გამოსავალი არცთუ იშვიათად (20-50%) არის ციროზი და ღვიძლისკიბო. **C** ვირუსით ინფიცირებულ პირებში ღვიძლის კიბო 4-ჯერ უფრო ხშირად ვითარდება, ვიდრე B ვირუსით ინფიცირების შემთხვევაში. ქრონიკული C ჰეპატიტი წლების განმავლობაში უსიმპტომოდ მიმდინარეობს და ავადმყოფთა უმრავლესობა თავს ჯანმრთელად გრძნობს, ამიტომაც უწოდებენ C ჰეპატიტს „ალერსიანმკვლელს“.

სწორედ ამიტომაა აუცილებელი ტესტირების ჩატარება, ყოველ 6 თვის ინტერვალის დაცვით, რაც იძლევა გარანტიას მკურნალობის დროულად დაწყების. დღესვ უკვე c ჰეპატიტი მიეკუთვნება სხვა განკურდებად დაავადებათა რიცხვს.

არჩილ მჭავია,

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გურიის განყოფილების უფროსი.

სტუმარი

ხათუნა აფხაზავას თვალით დანახული ესტონეთი

განათლება – სწავლა და სწავლება აფზაზავებს გენეტიკით მოდგამთ. ასე იყო ადრე და ასეა დღესაც. „ალიონის“ მკითხველთან ხათუნა აფხაზავას განსაკუთრებული წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლის დირექტორი და სამოქალაქო განათლების პედაგოგი „ევროპისკენ მეგზური“ მასწავლებელია.

როგორც ცნობილია, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი უკვე ექვსი წელია, ქვეყნის მასშტაბით, ერთობლივად ატარებენ პროექტების კონკურსს „მასწავლებელი მეგზური ევროპისკენ“.

– ნატოსა და ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოს ახლა ისე სჭირდება, როგორც არასდროს და, აქედან გამომდინარე, მოსწავლეებისთვის ევროპული ღირებულებებისა და ფასეულობების სწავლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, – ეს ქალბატონი ხათუნას სიტყვებია. იგი

წლევანდელი კონკურსის 10 გამარჯვებულიდან ერთ-ერთი გახლავთ, ვისაც შესაბამისი სერტიფიკატი თვით საქართველოს პრემიერმა მამუკა ბახტაძემ გადასცა თბილისის ცერემონიალების სასახლეში.

პროექტის გამარჯვებულები, ამ ცოტა ხნის წინათ, სასწავლო ვიზიტით ესტონეთში იმყოფებოდნენ ამ ქვეყნის გამოცდილების შესასწავლად და გასაზიარებლად, მეტადრე განათლებაში.

სწორედ ამ ვიზიტის ფარგლებში დასმულ შეკითხვებს უპასუხებს რუბრიკის სტუმარი.

– გამარჯობა, ქალბატონო ხათუნა! უპირველესად, წარმატებებს გილოცავთ, მერე ესტონეთიდან მშვიდობით დაბრუნებას და ბოლოს იმასაც, რომ „ალიონის“ სტუმარი ხართ. პირველი კითხვა ასეთი მექნება: რატომ მაინცა და მაინც ესტონეთი და არა უფრო დიდი გამოცდილების ქვეყანა?

– ესტონეთი, მოგეხსენებათ, პოსტსაბჭოთა ქვეყანაა, მაგრამ ნატოსა და ევროკავშირის წევრია, უამრავი სიკეთე აქვს უკვე, რითაც მისი მოქალაქეები სარგებლობენ. პატარა ქვეყანაა, რომლის ტერიტორია 45. 277 კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა – 1, 3 მილიონი ადამიანი. სულ 533 სკოლა ფუნქციონირებს, აქედან 27 გიმნაზიაა. განათლების დარგში დასაქმებულია 14 000 პედაგოგი.

დღეს თითქმის ყველა ესტონელმა სამი ენა იცის. ამ ქვეყნის წარმატების მიზეზი „ციფრული რევოლუციაა“ **digidal society Estonia,** რაც გულისხმობს უფასო ინტერნეტს. ყველა დაწესებულებაში არის

გამოკრული **WI-FI-**ის პაროლები. ამ სახელმწიფო სტრატეგიამ შეცვალა ესტონეთი, სახელმწიფო წელიწადში 10 მილიონ ევროს ხარჯავს **WI-FI**-ში. წიგნები, გამოცდები, რესურსები ელექტრონულია.

სკოლებში, ბაღებში, უნივერსიტეტებში, მოსახლეობაში ყველგან უფასო ინტერნეტია, უამრავი სტარტ-პროგრამები აქვთ, პირველ ადგილზე არიან ინტერნეტის თავისუფლებაში. მიიჩნევენ, რომ სკოლები უნდა დაეწიონ ბავშვებს. პირველი ქვეყანაა მსოფლიოში წიგნების კითხვაში, მეორეა ფინეთი. საბუნებისმეტყველო დარგების ცოდნაში პირველები არიან ევროპაში, ამ მაჩვენებლით მესამე არიან მსოფლიოში. მათემატიკაში მეორე ადგილზე არიან ევროპაში და მეცხრეზე – მსოფლიოში (პიზას კვლევების მიხედვით).

– შთამბეჭდავი შედეგებია. სკოლებში რამდენწლიანი სწავლება აქვთ?

– სწავლება 12-წლიანია. ისევე, როგორც ჩვენთან. დაწყებითი საფეხურია I-VI, საბაზოა VII-IX (ამ საფეხურზე სამი ენის ცოდნა სავალდებულოა), ხოლო X-XII უკვე გიმნაზიაა, სადაც 7 ენა ისწავლება. ვინც გიმნაზიას ამთავრებს, უგამოცდოდ ხვდება უმაღლეს სასწავლებელში. - ცხრაკლასდამთავრებულს საშუალება ეძლევა სწავლა განაგრძოს პროფესიულ სასწავლებელში, რომლის სრული კურსის გავლის შემდეგ, შეუძლია, ჩააბაროს მშობლიური (ესტონური) ენის, მათემატიკის და უცხო ენის გამოცდები და გახდეს სტუდენტი.

– როგორც თქვენგან ვიცი, სკოლებსა და უნივერსიტეტებში სწავლა უფასოა. როგორ ფინანსდებიან ისინი?

– დიახ, უფასოა. სკოლებს და უნივერსიტეტებს 50%-ით აფინანსებს სახელმწიფო ბიუჯეტი, დაფინანსების დანარჩენი 50% კი ადგილობრივ თვითმმართველობაზე მოდის.

– კერძო სკოლები ხომ არის ფასიანი?

– კერძო სკოლები ესტონეთში არ ითვლება პრესტიჟულად. პრიორიტეტულია სახელმწიფო სკოლები. ისინი გამოირჩევიან ავტონომიურობით (დამოუკიდებლობით), თითოეულს აქვს თავისი მისია და ხედვა, ჰყავს ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი და ლოგოპედი.

– სოციალურად როგორი მდგომარეობაა ესტონეთის სკოლებში?

– მოსწავლეებს შორის არ არის სოციალური განსხვავება (მდიდარი და ღარიბი). ამიტომ არ არის სკოლებში ბულინგი. ბაღებში სკოლებში, უნივერსიტეტებში უფასო სამჯერადი კვებაა, ასევე უფასოა ტრანსპორტი.

ესტონეთს არ ჰყავს ქუჩის ბავშვები, არ ჰყავს სოციალურად დაუცველები.

– მასწავლებლებზეც უნდა გკითხოთ, სწავლების რა მეთოდებს იყენებენ, როგორია მათი ცენზი?

– მასწავლებლების 93 % მაგისტრებია.

დაწყებითი კლასის მასწავლებლებისთვის არის სპეციალური პროგრამა, თვითგანვითარების კურსები. ჩვენთან შედარებით, ესტონელი მასწავლებლები, ალბათ, უფრო აქტიურები არიან.

0-7 წლამდე ასაკის ბავშვებს ასწავლიან ბაკალავრები, 7-16 წლამდე მოსწავლეებს – მაგისტრები, 16-19 წლისას და ზევით – მაგისტრები და დოქტორები.

ესტონელი მასწავლებლის საშუალო ასაკი 52 წელია. პედაგოგობა იქაც არაპრესტიჟულ სპეციალობად მიიჩნევა. საშუალო ხელფასი 1500 ევროა, თუმცა, შეიძლება ზოგიერთ მასწავლებელს 2500 ევროც ჰქონდეს. ექიმებისა და იურისტების ანაზღაურება გაცილებით მეტია – 3500-5000 ევრო.

– ვიცი, რომ პროექტულ სწავლებას ანიჭებენ უპირატესობას. როგორია იქაური პროექტული სწავლება?

– პროექტულ სწავლებაზე დიდი ხანია გადასული არიან. 1939 წლიდან გაკვეთილი საკლასო ოთახიდან გავიდა ეზოში (ამ ქვეყანაშიც დიდი იყო საბჭოთა რეჟიმის გავლენა. ხუმრობენ კიდევაც ამ თემაზე: „დიად საბჭოეთში“ ერთადერთი რესპუბლიკა ვიყავით, ვინც საბჭოთა კანონებს გერმანული სიზუსტით ვასრულებდითო).

მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის აქვთ გაცვლითი პროგრამები. ასევე აქვთ ინდივიდუალური პროგრამები, რომელთაც სურვილის მიხედვით ირჩევს მასწავლებელი და მოსწავლე. ყველა კლასში არის „ჭკვიანი“ დაფები და უამრავი რესურსი. სწავ-ლების ყველა საფეხურზე ისწავლება ეროვნული ფოლკლორი (ცეკვა და სიმღერა), ასევე გიმნაზიაში ისწავლება ფილოსოფია (რა არის თავისუფლება).

– მსმენია, ესტონელები დღესასწაულების ხალხიაო, მაინც რა დღესასწაულები ტარდება და ხომ არ მიგიღიათ რომელიმეში მონაწილეობა?

– მართლაც, უამრავ დღესასწაულს აღნიშნავენ. მაგალითად, ესტონური დროშის დღეს დაემთხვა ჩვენი ვიზიტი ერთ-ერთ სკოლაში, სადაც სკოლის დირექტორი თავისი ქვეყნის დროშის ფერებში დაგვხვდა გამოწყობილი. რომ არ დაიკარგოს ტრადიციები, ყველა სკოლაში, მე-7-დან მე-9 კლასის ჩათვლით, ისწავლება ხეზე კვეთა (ორნამენტები, ხის დამუშავება...) და კულინარია (ეროვნული კერძები).

ესტონელები, ამავე დროს, დისციპლინიანი ხალხია და გამოირჩევიან საქმისადმი ორიგინალური მიდგომით. აი, მაგალითად, ნარჩენებს ახარისხებენ სამ ტიპად – პირველია საკვების ნარჩენები, მეორე – ქაღალდები და დალაგების შედეგად შეგროვებული ნარჩენები, მესამე კი – პოლიეთილენის ბოთლები (იყენებენ საწვავად), რომლის შეგროვებაში სახელმწიფო მოქალაქეებს ფულს ურიცხავს.

პრობლემის გადაჭრა კარგად ეხერხებათ, მეექვსე ადგილზე არიან ამ მაჩვენებლით მსოფლიოში, პირველი სინგაპურია.

– ჯამაგირზე ვისაუბრეთ, პენსიები როგორი აქვთ?

– პენსია დაგროვებითია. იგი დამოკიდებულია ცენზზე, ასაკზე, სტაჟზე, თანამდებობაზე. ამიტომ, ვერ ნახავთ ორ ისეთ ადამიანს, ერთნაირი რაოდენობის პენსიას რომ იღებდეს. საპენსიო ასაკი ქალებისთვისაც და მამაკაცებისთვისაც 67 წელია, რაც არ მოსწონთ.

– როგორი ხასიათის ხალხია?

– უკვე გითხარით, რომ წარმატებულობის მთავარი მიზეზი ციფრული ტექნოლოგიაა, მაგრამ ეს ტექნოლოგია ტექნოლოგიად დარჩებოდა, რომ არა ხალხის მტკიცე ნებისყოფა, დამოკიდებულების და პასუხისმგებლობის უდიდესი გრძნობა, რომელიც თითოეულ ესტონელს განსაკუთრებულად გაჩენია. მზად არიან გადაინაწილონ პასუხისმგებლობა, ენდონ სახელმწიფოს და სახელმწიფოც ენდოს მათ.

ხასიათის პრობლემები აქვთ. მიიჩნევენ, რომ არ არიან ბედნიერები, განსაკუთრებით პოლარული დღეებისა და ღამეების ჟამს. ასეთ დროს ჩაკე-ტილები და უემოციოები არიან.

– მაგრამ, როგორც ვიცი, პატრიოტიზმითა და ეროვნულობით ერთ-ერთი გამორჩეული ერია ევროპაში.

– დაწყებული სასკოლო სივრციდან, ყველა ინსტიტუციაში ხაზგასმული და გამოკვეთილია პატრიოტიზმი და ეროვნულობა. მაგალითად, დაწესებულია „დედის ხელფასი“. ქალს, რომელიც მუშაობდა, შვილის შეძენისას ორი წლის მანძილზე უნარჩუნდება ხელფასი, ხოლო ქალს, ვისაც სამი და მეტი შვილი ჰყავს, სიცოცხლის ბოლომდე ყოველთვიურად ეძლევა 450 ევრო.

– არ ვაპირებ, მაგრამ მაინტერესებს, რა არის საჭირო, რომ ესტონეთის მოქალაქე გავხდე?

– საკმაოდ რთული პროცედურაა, ესტონურ ენაში სახელმწიფო გამოცდების მთელი კატეგორიებია გასავლელი. ვინც პირველ კატეგორიას გადალახავს, მას ეძლევა უფლება, ისარგებლოს უფასო ჯანდაცვით, უფასო გა-ნათლებითა და უფასო ტრანსპ-ორტით. მეორე კატეგორიის უფასო გა-ნათლებითა და უფასო ტრანსპ-ორტით. მეორე კატეგორიის ჩამბარ-ებელს, ზემოაღნიშნულთან ერთად, ეძლევა თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლება. მესამე კატეგორიის ჩამბარებელს კი სრული უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მართვაში, გახდეს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელი და აირჩიოს ქვეყნის პარლამენტი.

– არც დრო ამომწურვია და არც კითხვები, მაგრამ საგაზეთო ფორმატი მეტს ვერ დაიტევს. დიდი მადლობა, ქალბატონო ხათუნა, რომ მოიცალეთ ჩვენთან სასაუბროდ. ვიმედოვნებ, კვლავ იქნებით ჩვენთვის და საზოგ-ადოებისთვის სასურველი რესპოდენტი.

– შევეცდები, დიდი მადლობა თქვენაც.

ესაუბრა

თემურ მარშანიშვილი.

სულთათანა

„ერთხელც იქნება, მოვკვდები, მივებარები მიწასა...“

(დავით კუტუბიძის ხსოვნას)

ორმოცი დღე გავიდა გაზეთ „ალიონის“ კომპიუტერული უზრუნველყოფის ყოფილი უფროსის, გამომცემლობა „მერიდიანის“ რედაქტორის დავით კუტუბიძის გარდაცვალებიდან.

გულდასაწყვეტია,რომ საუთროდან ნაადრევად წავიდა ნიჭიერი კაცი, რომელსაც შეეძლო ბევრი სასიკეთოს საქმის კეთება ქვეყნის სასიკეთოდ.

დათო გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გავიცანი. 1996 წელს, კლუბ „ასკანის“ კომპანია „ინფოგურიასთან“ გაერთიანებით ერთად შეიქმნა ტურისტულ-ალპინისტური საზოგადოება „გურიის მთები,“ სადაც თენგიზ ბერიშვილთან და რევაზ ცქვიტინიძესთან ერთად დავით კუტუბიძეც იყო ერთ-ერთი დამფუძნებელი.

მიუხედავად უშუქობისა, სხვა პრობლემებისა, „გურიის მთები“ დიდ საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა გურიაში ტურიზმის განვითარებისათვის. ეწყობოდა ალპინიადები, ტურისტული ლაშქრობები, შეიქმნა გაზეთი „გურიის მთები,“ რომელმაც მალე მოიპოვა პოპულარობა. ამაში თავისი წვლილი შეჰქონდათ აწ გარდაცვლილ თენგიზ ბერიშვილს და დავით კუტუბიძეს საზოგადოების დიდი მიღწევა იყო საგრანტო კონკურსში ქართულ-აზერბაიჯანული პროექტის გამარჯვება, რომლის ერთ-ერთი ავტორი დავით კუტუბიძე იყო.

1997 წლის ბოლოს, კავკასიონზე წარმატებული ალპინიადის შემდეგ ოზურგეთში ახალზელანდიელმა მოგზაურებმა მოტოციკლით შემოიარეს. ერთ კვირას დარჩნენ ისინი ოზურგეთში. სად არ ვატარეთ. ყველგან დავით კუტუბიძე იყო თარჯიმანიც და თამადაც.

„გურიის მთების“ სულ 4 ნომერი გამოიცა, (დავითი რედაქტორობდა), საიდანაც ბოლო ნომერი ინგლისურენოვანი იყო. გაზეთი„ალიონი“ კომპიუტერულ უზრუნველყოფაზე გადავიდა და დავით კუტუბიძე „ალიონში“ მივიწვიეთ. უაღრესად ერუდირებულ და პრაქტიკოსი რედაქტორის, თამაზ სალუქვაძის გვერდით ნიჭიერი ახალგაზრდა კაცი მოვიდა.

მალე, გაზეთის ერთ-ერთი მეგობრის დახმარებით ახალი კომპიუტერული ტექნიკა შევიძინეთ. თბილისში დათოს მეგობარი ანტონ სამსონიძე დაგვხდა. ტექნიკა შეგვარჩევინა.

ჩვენი სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. გისოსები გატეხეს და ტექნიკა მოიპარეს. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ დღესაც მახსოვს, გაძარცვული ოთახის წინ (თამაზ სალუქვაძე, დათო კუტუბიძე და ამ სტრიქონების ავტორი) ვიდექით და ვცდილობდით ერომანეთის თვალებში ცრემლი არ დაგვენახა...

იმ წლებში ჩვენი გაზეთი ხშირი შემოტევების ობიექტი იყო. ერთად ვუმკლავდებოდით ზეწოლას – თამაზი, დათო... ჩვენი პატარა კოლექტივი..

2005 წლის ივლისის ერთ შაბათს, თენგიზ ბერიშვილის მიერ „პროგრესის სახლად“ წოდებულ სამსართულიან კორპუსს, სადაც „ალიონის“ რედაქცია და არაერთი არასამთავრობო და სხვა ორგანიზაციები იყვნენ განთავსებული, დღემდე გაურკვეველი მიზეზით ხანძარი გაუჩნდა. უბინოდ დავრჩით. დათოს ერთხელაც არ უფიქრია რედაქციის გასაჭირში მიტოვება. ურთულეს პირობებში ვმუშაობდით. მას დიდი წვლილი მიუძღვოდა გაზეთის გადარჩენაში.

დათო კუტუბიძე კარგი მეგობარი იყო. უყვარდა თანამშრომლები, იუმორიც შვენოდა. მით უმეტეს, სასაცილო ამბის თხრობისას, თავად ქმნიდა ემოციურ წინაპირობას, რომ მისი განწყობა სხვებსაც გადადებოდა. განსაკუთრებით პოპულარული მისი ჩეხური მოგონებები იყო...

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ქალაქში ყველაზე პოპულარული და ბოჰემური კაფე „ნიკალა“ იყო. „ნიკალასთან“ აწ გარდაცვლილ იური ჩიხლაძესთან ერთად ასოცირდება დავით კუტუბიძისა და ია კონტრიძის სახელები.... დავითმა ლამაზი ოჯახი შექმნა და თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. გამომცემლობა „მერიდიანში“ დაიწყო მუშაობა რედაქტორად.

მისი ნიჭიერება და პასუხისმგებლობა ეტყობა არაერთ გამოცემას, რომლის არა მარტო რედაქტორი იყო დათო. გაზეთ „ალიონს“ ხომ მისი სახით თბილისში ერთგული გულშემატკივარი ჰყავდა.

ხშირად ვერ სტუმრობდა გურიას. პირადი შეხვედრისას მისთვის ყველაზე სასიამოვნო სასაუბრო, მამის, რომან კუტუბიძის საჭადრაკო მიღწევები იყო...

სათქმელი ბევრია..რამდენიმე დღის წინ, თბილისში, დიღმის მასივში გამომცემლობა „მერიდიანის“ დირექტორის კახა რუსიძის სახლის წინ ვისხედით და დათოზე ვსაუბრობდით.

რატომღაც შემდეგ ვაჟა ფშაველას ერთი ლექსი გამახსენდა:

„ერთხელც იქნება, მოვკვდები,
მივებარები მიწასა,–
გულსა და გრძნობას შაურევ
ცივის სამარის ქვიშასა...“

ნუგზარ ასათიანი

გურიის ჭადრაკის ფედერაცია, საჭადრაკო კლუბი „გურია“ და გაზეთ „ალიონის“ რედაქცია მწუხარებას გამოხატავს ქართული საჭადრაკო ოჯახის წევრის, საერთაშორისო არბიტრის, თბილისის საერთაშორისო აკადემიის მწვრთნელის, ღირსეული პიროვნების **სულიკო მეგრელიშვილის** გარდაცვალების გამო და თანაგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სკანვორდი



№ 28-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – ალექსანდრე ანპილოგოვი; საეკლესიო პირი – მოძღვარი; მამაკაცის სახელი – სილიბისტრო; ერთგვარი ქსოვილი – ტრიკოტაჟი; მოგება ნარდში – ოინი; შხამიანი მწერი – ბაზი; ყოფილი ოუგოსლავიის თავკაცი – ტიტო; პატარა დროშა – ალმი; მემკვიდრეობით ნაწყალობევი მიწა – სიოურღალი; ცეცხლის ენა – ალი; დიდი დასარტყამი ინსტრუმენტი – რუმბი; საჭაპანო ტრანსპორტი – ურემი; მასხარა – ოინბაზი; განთიადი – აისი; ძვირფასი მინა – ბროლი; თმის საღებავი –ინა; მოძალადე, მწვალებელი – მანიაკი; სამგზდო თამაში – დომინო; პატარა ბავშვის საწოლი – აკვანი; ნაცია – ოსი; ამპლუა – როლი; ადვილი – იოლი; მსუბუქი ქარი – სიო; კარგი ამინდი – დარი; სიცოცხლეს რომ სიმღერით ეშვიდობება – გედი; ტბა თბილისში – ლისი; კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი – როიალი; იმერული შუასადილი – იმე; მამაკაცის სახელი – ოლეგი; პოტენციალის მომგვრელი მედიკამენტი – ვიაგრა; მე-3 პირის ნაცვალსახელი – იგი; ყოფილი პროფესიონალი კალათბურთელი – ალსინდორი; აჩრდილი – ლანდი; ზაფხულის თვე – ივლისი; გოჭი მეგრულად – თუ.

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

მე ვეხმარები ჩემს ერს - ივანე დუმბაძე

ეს სიტყვები ეკუთვნის გენერალ ივანე ანტონის ძე დუმბაძეს. დუმბაძე მსოფლიოში ერთ-ერთი გვარია, ქართული ოჯახია შემოქმედიდან, რომელმაც ხუთი გენერალი, ერთი პოლკოვნიკი და ერთი მღვდელი აღუზარდა სამშობლოს.

თვით ანტონ დუმბაძე (1824-1903) სასულიერო პირი არ ყოფილა, იგი პოლიციის „პორუჩიკი" გახლდათ, რომელიც, რაჟდენ ხუნდაძის ცნობით, საგალობლებს და ლოტბარობას გელათის მონასტერში დაუფლებია. „ანტონმა ზედმიწევნით ზუსტად იცოდა თითოეული საგალობლის სამივე ხმა, გურიაში იგი პირველ მგალობლად ითვლებოდა" (ილია თავბერიძე, „XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეები და საეკლესიო გალობა", თბ. 2010 წ. გვ. 90).

ანტონ დუმბაძეს ცხრა შვილი ჰყოლია: დავითი, ივანე, ნიკოლოზი, მიხეილი, იოსები, სამსონი, მელიტონი, მართა და ელენე.

ანტონი მონაწილე ყოფილა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომისა. შვილებიც ძირითადად სამხედრო გზას დაადგნენ.

ანტონ დუმბაძის შვილებიდან ყველაზე პოპულარული და გავლენიანი ივანე იყო. იგი ყირიმს განაგებდა. ათი წელი იყო იალტის გუბერნატორი. რუსეთში იცნობდნენ, როგორც უმკაცრეს და უპატიოსნეს მმართველს. რუსეთის „დუმის" წარმომადგენლები იალტაში ჩასვლისას ივანე დუმბაძის შიშით წესრიგსა და კანონს ემორჩილებოდნენ. მას არაერთი წესრიგის დამრღვევი რუსი გენერალი და თავადი გაუძევებია იალტიდან.

ივანე ძალიან დაახლოებული ყოფილა იმპერატორის ოჯახთან. როგორც მაშინდელი რუსული საინფორმაციო წყაროები იუწყებოდნენ, ნიკოლოზ II მხოლოდ ივანეს ანდობდა საკუთარი შვილების სიცოცხლესა და უსაფრთხოებას. ხშირად იწვევდა სასახლეში და რჩევას ეკითხებოდა. ივანეზე განაწყენებული რუსი დიდგვაროვნები ხშირად ჩიოდნენ იმპერატორთან, რომელიც მომჩივანთ ერთსა და იმავეს პასუხობდა, ივანემ უკეთ იცის ყველაფერიო.

თამარ ღლონტის (ივანეს ძმისშვილიშვილი) მოგონება: „ერთხელ ივანეს მწარედ აწყენინეს. ქართველები ჭვარტლიანი საჭმელებით ხართ გაზრდილები, ლობიოს , ჩაის ერთი და იმავე ჩახანიდან მიირთმევთო, ივანე თურმე ძალიან გაბრაზდა და მამას წერილი მოსწერა: ბატონო მამა, გთხოვ, მიიღო სასწრაფო ზომები, ოზურგეთში გააკეთებინე ოჯინჯალა ვერცხლის ჯაჭვით, მოოქროვილი, საშუალო ზომის ჩახანა მოლატუნებული და რაც დაჯდება, მაცნობე და დაგაფინანსებო. მამამ შეუსრულა შვილს სათხოვარი და ჩაუტანა იალტაში. ამ სურათმა ყველა განაცვიფრა, ეს რა ორიგინალურიაო, აი ასეთი სუფთა ხალხი ვართ ქართველებიო, უპასუხნია ივანეს" (ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდი, საქმე 600).

ცნობილია უამრავი ამბვი, ფაქტი ივანეს პიროვნებისა და ქველმოქმედების შესახებ.

ერთხელ ივანეს ძმა დავითი მასთან წასულა იალტაში და წაუღია თხოვნა - განცხადება ხელმოწერილი მოსახლეობისაგან, რათა მაშინდელ ოზურგეთში გაეხსნათ სახელმწიფო აფთიაქი, რომელიც ხალხს მისცემდა საშუალებას, წამალი ეყიდათ ხელმისაწვდომ ფასებში. ხშირი იყო სიკვდილიანობის შემთხვევები, განსაკუთრებით ბავშვთა შორის. კერძო აფთიაქის მეპატრონეები ძალიან ძვირად ყიდნენ წამალს, ამას ემატებოდა ისიც, რომ ქალაქში ექიმიც არ იყო. ექიმი ჩამოდიოდა მოწვევით. მაგალითად, ასეთი განცხადება იყო გაკრული ქალაქის თვალსაჩინო ადგილას: „ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობა ამით აცხადებს, რომ მან მოიწვია ექიმი ტბილისიდან, რომელიც თერთმეტი ამა თვის აპრილიდან დაიწყებს ავადმყოფების მიღებას ოზურგეთის ქალაქის ამბულატორიაში „უპრავის" შენობაში, ყოველდღე, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის, თითოეულ ავადმყოფს გადაეხდება გასინჯვაში მხოლოდ ექვსი შაური, მოსწავლეებს და ბავშვებს, ექვსის ნაცვლად, სამი შაური." ოზურგეთის ქალაქის თავის მოადგილე პლატონ ბერიძე. 3 აპრილი, 1910 წელი.

დავითის თხოვნა ივანეს მოუგვარებია და 1913 წელს ოზურგეთში აფთიაქი გაუხსნიათ, რომელიც უკურთხებია თავად დავითს. გახსნას თურმე დიდძალი საზოგადოება დასწრებია. აფთიაქის აბრას დიდი ასოებით ეწერა: "ოზურგეთის აფთიაქი" და მდებარეობდა ზუსტად იმ ადგილას, სადაც შემდეგ 1 აფთიაქი იყო, რომელიც დაიწვა 90 -იან წლებში მომხდარი ხანძრის დროს. ამ აფთიაქის გახსნას სამწუხაროდ ემსხვერპლა დავითის ნიჭიერი ახალგაზრდა ვაჟი, რომელიც სწავლობდა ხარკოვში. გადმოცემით, გიორგი დავითის-ძე დუმბაძე ხარკოვის უნივერსიტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი იყო.მკვლელი მოისყიდა კერძო აფთიაქის მეპატრონემ, პროვიზორმა ზედგენიძემ. უდანაშაულო ადამიანი მოკლეს საკუთარ სახლში. ამ ტრაგედიას დიდხანს იგონებდნნ მისი ახლობლები, დავითს თურმე 10 წელი არ უმღერია. დავითს ჰყავდა მეორე ვაჟი ვასილ (ვასო) დუმბაძე ,რომელიც ბოლოს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ამერიკაში და იქვე გარდაიცვალა. რაც შეეხება დავითის ქალიშვილებს, მათ ყველას გამორჩეული სმენა და ხმა ჰქონდა.ყველა უკრავდა გიტარა-ჩონგურზე, მათგან გამორჩეული გახლდათ ჩვენთვის კარგად ცნობილი სონია, რომელიც იტალიაში მოღვაწეობდა.

ივანეს ნაშვილები ჰყავდა დავითის ქალიშვილი საშიკო-ალექსანდრა, რომელმაც დაამთავრა ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზია.ივანეს დახმარება ყველასადმი დიდი იყო, მაგრამ შვილობილისათვის განსაკუთრებით, დიდი პატივს ცემდა მას. საშიკო შემდეგ სემინარისტ იონა გიორგის ძე ღლონტს გაჰყოლია . საშიკოს და, სახელად გოგოლი, მიხეილ ნაკაშიძეს მიათხოვეს. მათი ქორწილი ერთ დღეს ყოფილა. ივანეს პატივისცემა იმაში გამოიხატა, რომ მთლიანი ხარჯი ქორწილისათვის ივანემ იკისრა. ამ დღეს სადგურ ნატანებიდან ოზურგეთ-შემოქმედამდე მგზავრთა გადაყვანა-გადმოყვანა უფასო ყოფილა დილლჟანსებში, რომლებშიც შებმული იყო ინგლისური ჯორები (ჯორებს თურმე ყვითელი შაქრით კვებავდნენ). ჟღარუნ-ჟღარუნი ჩადიოდნენ ნატანებში და იქედან მოყავდათ ქორწილებში მომავალი სტუმრები. საშიკოსა და მისი უფროსი დის ქორწილი, როგოც ზემოთ ავღნიშნეთ, ერთ დღეს ყოფილა. ივანეს ძმიშვილებისათვის უამრავი საჩუქარი მიურთმევია.

და კიდევ ერთ-ერთი ალეგროს ჩატარების პერიოდში, გურიაში ჩამოსული ყოფილა გენერალი ივანე დუმბაძე. მას გაუგია, რომ ალეგრობის ჩატარებაში მისი შვილად წოდებული საშიკო მონაწილეობდა. მასთან ერთად ყოფილა აზნაურ ადვოკატ პლატონ ბერიძის ლამაზი მეუღლე ალვასი დუმბაძე- ბერიძისა, კბილის ექიმ სამსონ ვაშაყმაძის ოჯახობა თამარ ოთხმეზური, მატრონე ფირცხალაიშვილი, მარო ესაძე, გოგოლი ნაკაშიძე, ნინო ნაკაშიძე და სხვები. ივანე მიბრძანებულა ალეგროზე. საშიკო ბიძას - მამობილს მიუახლოვდა და ყვავილი მიაბნია მკერდზე. აღმზრდელმა შვილობილს ეამბორა, ყულაბას გადახედა და კითხა, რა ღირს, შვილო, შენი ყვავილიო? საშიკომ თავი დახარა, რევერანსი გაუკეთა და არაფერი უთხრა , ივანემ გადახედა გარემოს და უთხრა, მომიყვანე უფროსებიო და ალეგროს შესწირა 500 მანეთი. ამ ამბავმა განაცვიფრა ყველანი, ივანემ სიამოვნებით ამოისუნთქა და თქვა, თურმე, ხშირად მოაწყვეთ ასეთი რამ. ბატონმა პლატონ ბერიძემ დიდი მოკრძალებით მიიწვია გენერალი ივანე სუფრასთან, დალოცა მადლობა გადაუხადა საზოგადოების სახელით. უცებ სიჩუმე ჩამოვარდა, ამ სუფრასთან მოიწვია კომისიის ყველა წევრი.დიდი მადლობის ნიშნად ყველანი თავს ხრიდა და გაისმოდა მრავალჟამიერი. ივანემ აიღო სასმისი და ასე გამოთქვა: „მე ვემსახურები ჩემი ერის კეთილდღეობას".

„ივანეს ცოლად ჰყავდა ულამაზესი ქალი ტერეზა გურიელი. ეს ქალი გახლდათ ნინო დადიანის გერი, რომელიც ივანეს მოუტაცნია. ქალაქის საბჭოს ძველი შენობა რომ იყო,სწორედ აქ იდგა ადრე იასე გურიელის სახლი, ტერეზა იასე გურიელის ასული იყო. ნინო იმუქრებოდა თურმე დუმბაძის „გლეხმა" როგორ მომტაცა ქალიო. როცა ტერეზას მიაკითხეს და უთხრეს, სახლში წამოდიო, არ დათანხმებია და უპასუხნია, აქ არის ჩემი ოჯახიო", — იგონებს თამარ ღლონტი.

ივანე დუმბაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სოფლის სკოლებსა და ძეგლებს, ეკლესიამონასტრების მოვლა-პატრონობას.

იონა ღლონტის მოგონება: „ივანემ შემოქმედის მონასტრის მახლობლად მცხოვრებ გლეხს დაუნიშნა ხელფასი და ყოველი ჩამოსვლისას ჩამოჰქონდა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, გლეხს ყურადღება უნდა მიექცია, რომ ვინმეს მონასტრის კედელზე არ დაემაგრებინა სანთელი, ყველას ეუბნებოდა, კარგად მოუარეთ, ხომ ხედავთ, როგორი ნაშენებია, შიგ ტაძარში მარხია იასე ანდრონიკაშვილი, ვახვახიშვილი და სხვები. შემოქმედის მონასტრის შესაკეთებლად ივანეს შეუწირავს 500 მანეთი და ყოველი ჩამოსვლისას არ იშურვებდა მონასტრისათვის თანხის გაცემას. სულ ამბობდა თურმე, თქვენ არ იცით ფასი და დიდება ამ მონასტრის, აკურთხოს დიდებამ მისი ამგებიო, მოუარეთ მას, ეს იქნება ჩემი სათხოვარ- სამადლობელიო. მისი ოჯახის მსახურს, სახელად დოდოს, ივანესათვის უთქვამს: „მე, ივანე ბატონო, ყოველ „პრაზდნიკებზე" დავდივარ აქ და 7 სანთელს ვანთებო. ივანეს უპასუხნია, სანთელი ყველამ იმას უნდა დაუნთოს, ვისაც აქ უმუშავია და ასე კარგი ნაგები აუგია, იცოდეთ, ყველამ, თუ ვინმე მონასტერს დააზიანებს, ივანე აქ აღარ ჩამოვაო, მე იალტაში მესიზმრება მისი სილამაზე და მეამაყება, რომ მე იმ სოფლიდან ვარ, სადაც ესოდენ ლამაზი მონასტერი გვაქვს აგებული".

და ბოლოს, თუ როგორ უყვარდა და პატივს სცემდა ქართველებს და საქართველოს, კარგად ჩანს მისი მცდელობა, დახმარება აღმოჩინა ექვთიმე თაყაიშვილისათვის ელენე თარხან მოურავისეული „ვეფხისტყაოსნის" სურათებიანი ხელნაწერის გადაცემაში. მოვიტანთ ამონარიდს: ექვთიმე თაყაიშვილი ელენე თარხან მოურავის ვეფხისტყაოსანის აღმოჩენაში დახმარებას სთოვს იალტის გრადონაჩალნიკს ივანე დუმბაძეს, რადგან იმჟამად ელენე თარხან მოურავი ცხოვრობდა იალტის მახლობლად ქუჩუკ-ლამბატში, თავისი მამიდის, გაგარინის ცოლყოფილის მამულში.

ექვთიმე თაყაიშვილი: „წერილით მივმართე ელენე თარხნიშვილს, ხელნაწერი შემოეწირა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმისათვის. ამ წერილით არაფერი გამომივიდა და ამიტომ მე თვითონ გავემგზავრე ელენესთან 1912 წლის ზაფხულში, ვიცოდი, რომ მას სხვა სურათები და სამუზეუმო ნივთებიც ჰქონდა. როგორც შეეფერებოდა საქართველოს ბანოვანს, ელენემ დიდი თავაზიანობით და გულწრფელად მიგვიღო, პატივი გვცა, რაც სახლში ქონდა და მუზეუმისათვის ვარგოდა სიამოვნებით გადმოგვცა, მაგრამ გამოჩნდა, რომ მას მთელი თავისი ვერცხლეულობა და სხვა ძვირფასი ხატები და ნივთები პირველი რევოლუციის დროს სევასტოპოლის ხაზინაში მიუბარებია შესანახად, პატიოსანი სიტყვა მომცა, რომ თავის ვერცხლეულობას, ხატებს, სურათებს, წიგნებს და იარაღებს ჩვენს მუზეუმს დაუტოვებდა ანდერძით. ხოლო „ვეფხისტყაოსანს მალე გამოიტანდა ხაზინიდან და გამომიგზავნიდა. ივანე დუმბაძემ მოსვენება არ მომცა მაგ ხელნაწერისთვის, რომ თქვენთვის გამომეგზავნაო. მაგრამ ჯერჯერობით გამოტანა ვერ მოვახერხე. ერთადერთ ნივთი, რომელიც მე მოვიწონე მუზეუმისთვის და იმ დროს სახლში ჰქონდა ,მაგრამ იმჟამად ვერ გაიმეტა ,ეს იყო მისი ბებიის, იმერეთის მეფის სოლომონ I - ასულის მარიამ ბატონიშვილის წამლით დახატული მშვენიერი სურათი ქართული ტანისამისით. ელენემ მითხრა: აქ ხშირად სასეირნოდ მოდის ნიკოლოზ II, როცა იალტაშია და გადმომცეს, აპირებს ჩემთან შემოვლას და, რომ მოვიდეს, რა უნდა უჩვენო თუ არა მეფის ასულის ძველი სურათი, ისე სიტყვა მომცა, ეს სურათიც თქვენ დაგრჩებათო."(„დაბრუნება", წიგნი პირველი, ექვთიმე თაყაიშვილი, ემიგრანტული ნაშრომები. თბ.1991 წ. გვ.92).

გენერალი ივანე დუმბაძე მრავალი უცხოური ჯილდოსა რეგალიის პატრონი, რომელსაც საქართველი და მშობლიური გურია ძალიან უყვარდა, გარდაიცვალა ლივადიაში, 1916 წლის ოქტომბერს, დაკრძალეს სამხედრო და სამოქალაქო პატივით.

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის სამუზეუმო
გაერთიანების ფონდების მთავარი
მცველი.

ოზურგეთი-ქობულეთის გზის მშენებლობა დასრულების ფაზაშია, ანასეული-ნარუჯა-ლაითურის გზის მშენებლობა დაიწყო

საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი 6 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა ძირითადად დასრულდა.

სამუშაოებს შპს „New road“ (უფროსი დავით ჟღენტი, სამუშაოთა მწარმოებელი ბაჩუკი მამალაძე) და შპს „გზამშენი 18“ (უფროსი თემურ ჯახვა, სამუშაოთა მწარმოებელი ტარიელ ნანიტაშვილი) აწარმოებდნენ.

საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტმა პროექტი 4 888 888 ლარით დააფინანსა.

ანასეულის გადასახვევიდან დაბა ნარუჯის გავლით ლაითურის ცენტრამდე დამაკავშირებელი 7280 გრძივი მეტრი გზა მშენებლობის პროცესშია.

ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს შპს „გზამშენი 18“ ახორციელებს, რომელიც მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 3 777 936 ლარით დაფინანსდა.

აღნიშნულ გზის სამუშაოთა მწარმოებლები ტარიელ ნანიტაშვილი და ბესო ჩხაიძე არიან.

როგორც შპს „გზამშენი 18“-ის უფროსმა თემურ ჯახვამ გვითხრა, აქ 1540 მეტრი ბეტონის არხები გაკეთდება. მოეწყობა 400 მეტრი ეზოს შესასვლელები.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მცირე წვიმა +16+21	მზე, ღრუბელი +15+22	მზე, ღრუბელი +15+22	მზე, +15+23	მზე, +16+26	მზე, ღრუბელი +167+19	მცირე წვიმა +15+20
25 ივლისი	26 ივლისი	27 ივლისი	28 ივლისი	29 ივლისი	30 ივლისი	31 ივლისი
ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა	ორშაბათი	სამშაბათი	კვირა